

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო შედგება 23 წევრისაგან, რომელთაგან 9 წევრი არის სტუდენტი – 3 სტუდენტი თითო ფაკულტეტიდან

**წარმომადგენლობითი საბჭოს ფუნქციები:**

- ა) აკადემიური საბჭოს მონაწილეობით შეიმუშავენს უნივერსიტეტის წესდებას და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს;
- ბ) შეიმუშავენს და ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესს, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს;
- გ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;
- დ) ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს;
- ე) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით;
- ვ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;
- ზ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე;
- თ) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს;
- ი) აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია ვადაძღვე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
- კ) ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;
- ლ) აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს :
  - ლ.ა) აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ;
  - ლ.ბ) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;
  - ლ.გ) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს;
- მ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;
- ნ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით შეაქვს ცვლილებები დამტკიცებულ ბიუჯეტში;
- ო) ადგენს სტუდენტის სწავლის საფასურის ოდენობას;
- პ) იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის სწავლის საფასურისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლებაზე;
- ჟ) გასცემს თანხმობას უნივერსიტეტის რესურსებით შეძენილი ქონების ან მისი ნაწილის გასხვისებაზე ან/და სარგებლობაში გადაცემაზე;
- რ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.